საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/290 " 17 " დეკემბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის შესახებ

1. სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობისა და მართლმსაჯულების ხარისხის შეფასების მიზნით, მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) 2016 წლის 7 დეკემბრის სახელმძღვანელოსა („სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების გაზომვის კვლევისათვის ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში") და „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" მე-9 მუხლის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ა) დამტკიცდეს სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის წესი (დანართი №1);

ბ) დამტკიცდეს სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების კითხვარი (დანართი №2).

2. სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების პირველი კვლევა ჩატარდეს 2019 წლის 21 იანვრიდან 25 იანვრის ჩათვლით.

3. სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების კოორდინაცია დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს შოთა ქადაგიძეს.

4. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2018 წლის 17 დეკემბრის №1/290 გადაწყვეტილებით

დანართი №1

სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის
წ ე ს ი

1. სასამართლოსადმი და მართლმსაჯულების ხარისხისადმი საზოგადოების კმაყოფილების შეფასების მიზნით, საქართველოს საერთო სასამართლოებში ყოველ 6 თვეში ერთხელ, 5 სამუშაო დღის განმავლობაში, ტარდება სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა (შემდგომში - კვლევა).

2. კვლევის სახეებისა და მეთოდების, ასევე, კვლევის ჩატარებისათვის საჭირო კითხვარის ფორმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. კვლევის ჩატარების მიზნით სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, სასამართლოს აპარატის მოსამსახურეებისაგან, იქმნება საორგანიზაციო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სასამართლოს მენეჯერი.

4. საერთო სასამართლოებში კვლევის ჩატარებას კოორდინაციას უწევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განსაზღვრული საბჭოს წევრი.

5. საორგანიზაციო ჯგუფების მუშაობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი.

6. კითხვარი განთავსდება სასამართლოს მისაღებში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.

7. კითხვარის შევსება შესაძლებელია როგორც დამოუკიდებლად, ისე საორგანიზაციო ჯგუფის წევრის დახმარებით.

8. შევსებული კითხვარები განთავსდება სპეციალურად გამოყოფილ ყუთში.

9. საორგანიზაციო ჯგუფი კვლევის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს კვლევის შედეგების შეჯამებას და კვლევის მასალებთან ერთად სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისთვის წარდგენას.

10. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტი კვლევის შედეგების მიღებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოფს კვლევის შედეგების განზოგადებას და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენას.

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2018 წლის 17 დეკემბრის №1/290 გადაწყვეტილებით

დანართი №2

სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების შეფასების
კ ი თ ხ ვ ა რ ი

ძვირფასო ქალბატონო/ბატონო,

წინამდებარე კითხვარი დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის №1/290 გადაწყვეტილებით და ემსახურება მართლმსაჯულების ხარისხის შეფასების მიზნით სასამართლოს მომხმარებელთა კმაყოფილების დონის განსაზღვრას.

თქვენი მოსაზრებები და წინადადებები ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ მადლიერი ვიქნებით, თუ თქვენ დროს დაუთმობთ ქვემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემას. თქვენ მიერ მითითებული პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის.

სახელი, გვარი _____ **(მითითება სავალდებულო არ არის)**

რა სტატუსით იყავით სასამართლოში?

ადვოკატი ☐ პროცესის მონაწილე პირი ☐

პროკურორი ☐ მოქალაქე ☐

რა კატეგორიის საქმეზე იყავით სასამართლოში?

სამოქალაქო ☐ ადმინისტრაციული ☐

სისხლის სამართლის ☐ არ ვიცი ☐

გამოიტანა თუ არა სასამართლომ გადაწყვეტილება თქვენს სასარგებლოდ?

დიახ, სრულად ☐ არა ☐

დიახ, ნაწილობრივ ☐ არ წარმოვადგენდი მხარეს ☐

კითხვარი შევსებულია:

სხდომაზე შესვლამდე ☐ სხდომის შემდეგ ☐

		ვეთანხმები	არ ვეთანხმები	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები	უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები	არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა	შენიშვნა
1.	სასამართლოს ვენდობი	☐	☐	☐	☐	☐	
2.	სასამართლო არის მიუკერძოებელი	☐	☐	☐	☐	☐	
3.	სასამართლო არის დამოუკიდებელი	☐	☐	☐	☐	☐	
4.	სასამართლო იღებს კანონიერ გადაწყვეტილებებს	☐	☐	☐	☐	☐	
5.	სასამართლო პროცედურები ხორციელდება გონივრულ ვადაში	☐	☐	☐	☐	☐	
6.	მოსამართლეები არიან კომპეტენტურები/კვალიფიციურები	☐	☐	☐	☐	☐	
7.	მოსამართლეები პატივისცემითა და თავაზიანად ეპყრობიან მოქალაქეებს	☐	☐	☐	☐	☐	
8.	სასამართლოს სხვა არამოსამართლე მოხელეები არიან კომპეტენტურები	☐	☐	☐	☐	☐	
9.	კმაყოფილი ვარ სასამართლოს მომსახურებით	☐	☐	☐	☐	☐	
10.	სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადოდ არის დასაბუთებული	☐	☐	☐	☐	☐	
11.	სასამართლო სისტემაში არ არის კორუფცია	☐	☐	☐	☐	☐	